

„განათლების ქართული მოდელი“

სამი გარდამტეხი ნაბიჯი განათლების სისტემაში - დეპოლიტიზაცია, დეცენტრალიზაცია, მოდერნიზება

დღეს, ახალმა თაობამ ზუსტად იცის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ განუსაზღვრელი შესაძლებლობების ეპოქაში, რომლის დროსაც განათლებულმა, თანამედროვე ცოდნისა და უნარების მქონე ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს **დიდ წარმატებას**.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს განათლებისა და **წარმატების ახალი სტანდარტების ქვეყანა**, სადაც თანამედროვე განათლება თითოეული მოქალაქისათვის მატერიალური კეთილდღეობის საფუძველია, ხოლო სახელმწიფოსთვის სტაბილური განვითარების ყველაზე სანდო ინვესტიცია.

ამჟამად არსებული განათლების მოდელი პოლიტიკური და პარტიული ინტერესების გამტარია, რაც გავლენას ახდენს განათლების სისტემაში დასაქმებული და ჩართული აქტორების საქმიანობაზე ისევე როგორც განათლების ხარისხზე. ქართული განათლების პოლიტიკის არაეფექტურობასა და არათანმიმდევრულობაზე მეტყველებს მოსწავლეთა მიღწევების შეფასების პროგრამები, რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 70-ზე მეტ ქვეყანაში ატარებს და სადაც საქართველო რეიტინგების უკანასკნელ ათეულში ხვდება. მოსწავლეთა ნახევარზე მეტი დაბალი მიღწევის ჯგუფშია, უდიდესი უმრავლესობა ვერ ფლობს საბაზისო კომპეტენციას მათემატიტიკასა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ხოლო მაღალი მიღწევა მოსწავლეთა მხოლოდ 1% აქვს. კვლევის ანგარიშით დასტურდება, რომ ჩვენი მოსწავლეების შედეგები წინა კვლევასთან (2015) შედარებით გაუარესდა და არც განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობაა თანაბრად განაწილებული საქართველოს მასშტაბით.

სტრატეგია „აღმაშენებლის“ ფარგლებში შემუშავებული განათლების პროგრამა ითვალისწინებს გრძელვადიანი, თანმიმდევრული განათლების პოლიტიკის უზრუნველყოფას ხარისხიანი, ევროპული სტანდარტის დანერგვას, განათლების სისტემის დეპოლიტიზაციას, დეცენტრალიზაციას და მოდერნიზაციას, სადაც სისტემის გრძელვადიან, სისტემურ და თანმიმდევრულ მიზნებს შეიმუშავებს და ამტკიცებს პირდაპირი წესით არჩეული განათლების ეროვნული საბჭო.

განათლების ეროვნული საბჭო - მაღალი ლეგიტიმაციის, საკონსტიტუციო გარანტიის მქონე წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც 7 წლის ვადით პირდაპირი წესით ირჩევს განათლების სფეროში დასაქმებული აკადემიური საზოგადოება (საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული 80 000-მდე საქართველოს

მოქალაქე). საბჭო აქლურვილი იქნება ორი უმთავრესი ფუნქციით: ა) განათლების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება. ბ) რეფორმების მონიტორინგი და ზედამხედველობა.

საბჭოს უფლებამოსილება გავრცელდება ქართული განათლების სისტემის შემადგენელ ყველა საფეხურზე:

- ადრეული და სკოლამდელი განათლება
- ზოგადი განათლება
- პროფესიული განათლება
- უმაღლესი განათლება
- მეცნიერება და ინოვაციები

რას ემსახურება ქართული განათლების სისტემა? რა შეიცვალა ინდუსტრიული ეპოქიდან დღემდე? პასუხობს თუ არა ციფრული და ტექნოლოგიების ეპოქის გამოწვევებს? განათლების სისტემის რეფორმირებაზე საუბარი **ადრეული და სკოლამდელი განათლებიდან** უნდა დავიწყოთ, სადაც უმნიშვნელოვანესია:

- საბავშვო ბაღების ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა, სადაც ვაუჩერი მიყვება ბავშვს საჯარო თუ კერძო დაწესებულებაში სწავლისათვის - ამ შემთხვევაში მშობელს ეძლევა არჩევანის თავისუფლება ისარგებლოს მუნიციპალური ან კერძო ბაღით. ასევე, ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ გარემოს და კვალიფიციური კადრების დასაქმების პერსპექტივას.
- ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა (სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში მოხვედრილია საბავშვო ბაღები, სადაც ჯგუფებში 60-70 აღსაზრდელია, შშმ ბავშვების მონაწილეობა კი 0.49% მხოლოდ).
- პირდაპირი წესით არჩეული საბავშვო ბაღის დირექტორი, რომელსაც ირჩევს საბავშვო ბაღის თანამშრომლები და მშობლები. **ბაღის დირექტორის ხელფასი 1500 ლარი.** კომფორტული, ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურითა და კვალიფიციური აღმზრდელ პედაგოგებით უზრუნველყოფილი გარემოს შექმნა მისი უმთავრესი მოვალეობაა.
- **პედაგოგთა და აღმზრდელთა ხელფასების ზრდა, მათი შრომის ადეკვატური ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მინიმუმ 700 ლარით.**
- აღსაზრდელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია ჯგუფებში.

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად პედაგოგთა/აღმზრდელთა გადამზადება, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
- კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საბაკალავრო პროგრამების ამოქმედება პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

დაწყებითი განათლება:

სად ვართ დღეს? მოუწესრიგებელი სასკოლო ინფრასტრუქტურა, ნეგატიური (ნიშანსა და შეჯიბრობითობაზე ორიენტირებული) სასწავლო პროცესი, ანაზღაურებით უკმაყოფილო და დემოტივირებული მასწავლებელი, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დეფიციტი, ჩაკეტილი სივრცე სამოქალაქო ჩართულობისათვის (მათ შორის მშობლის, რომელიც უმნიშვნელოვანესი რგოლია) და შემოქმედებითი/არაფორმალური განათლების კუთხით.

გამოსავალი:

- 1) დეცენტრალიზაცია და დეპოლიტიზაცია გულისხმობს ფსევდო ავტონომიურობიდან რეალურ ნაბიჯებზე გადასვლას. სავალდებულოა სკოლის მართვის თანამედროვე მექანიზმებისა და სტანდარტების ამოქმედება (დირექტორის არჩევა-დანიშვნის წესი, სამეურვეო და დისციპლინური საბჭო, მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შემოქმედებითი განათლების კომპონენტის შეტანა). უნდა დავნერგოთ შეფასება, როგორც სოციალური ბერკეტი (შიდა სასკოლო და გარე შეფასება), რათა დაიწყოს საჯარო სკოლების რანგირება, როგორც მოსამზადებელი ეტაპი საჯარო სკოლების აკრედიტაცია-ავტორიზაციისთვის.
- 2) პირდაპირი წესით არჩეული 2083 -ივე საჯარო სკოლის დირექტორი - სისტემის დამოუკიდებლობის და დეპოლიტიზაციის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დირექტორს 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე დაწესებულების მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- 3) არჩეული სკოლის დირექტორის ხელფასი 3000 ლარი - ნდობით აღჭურვილი, კვალიფიციური ლიდერი, რომელიც წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს.

მას უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულების ადეკვატური ანაზღაურება და ინტერესი აჩვენოს საუკეთესო შედეგი მოსწავლეთა მიღწევების კუთხით, დანერგოს სწავლა-სწავლების საუკეთესო პრაქტიკა და დაამკვიდროს თანამშრომლობითი სწავლების ტრადიცია.

- 4) ევროპული განათლების მოდელებისა და წარმატებული საგანმანათლებლო პროგრამების (ესტონეთი, ფინეთი) ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში - **გამოცდილებათა სინთეზი, რომელიც უნდა მოვარგოთ ქართულ რეალობას.** დაუშვებელია, რომ მოზარდთა სავალდებულო განათლების ხარისხი დამოკიდებული იყოს მათ სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობაზე. მინიმალური სტანდარტის დასაძლევად სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელშემწყობი გარემო, ინფრასტრუქტურისა თუ თანამედროვე ტექნოლოგიებით საჯარო სკოლების აღჭურვის გზით.
- 5) განათლების დაწყებით საფეხურზე უნდა გაუქმდეს სადამსჯელო იარაღი - ნიშანი, როგორც მოზარდის პიროვნების შევიწროვების, შეურაცხყოფის და დემოტივაციის წყარო. მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ნდობა გამოვუცხადოთ მასწავლებლებს! მივცეთ თავისუფლება და ხელი შევუწყოთ არ მიეჯაჭვონ მხოლოდ სახელმძღვანელოებს, შექმნან მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებიდან გამომდინარე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ბავშვის უნარების განმავითარებელი სტანდარტი.
- 6) **უნდა დასრულდეს მუდმივი ექსპერიმენტები მასწავლებლებზე. კვალიფიციური და სერთიფიცირებული მასწავლებლის მინიმალური ხელფასი უნდა განისაზღვროს 1000 ლარით.**
- 7) მასწავლებელი, როგორც ცოდნის გადამცემი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლია. თანამედროვე განათლების ინსტრუმენტების დანერგვა სასწავლო პროცესში - ბავშვის პიროვნული და ინდივიდუალური განვითარების მეთოდის შექმნა, კრიტიკული და კრეატიული აზროვნების წახალისება გადამწყვეტია განათლების ადრეულ და დაწყებით საფეხურზე. სწორედ აქედან იწყება სოციალიზაციის, პიროვნული წარმატების, თვითშეფასებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების უნარების განვითარება. პიროვნების განვითარების ძირითადი მიმართულებები - **გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური თანაბრად მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურზე.** ჩვენ

მოზარდს უნდა დავებმართოთ საკუთარი შესაძლებლობების ანალიზში, რათა გაერკვეს საკუთარ ინტერესებში და სწორი ორიენტაციით განაგრძოს სვლა დასახული მიზნისკენ. სწავლების ამ საფეხურზე თანაბრად უნდა განვითარდეს მოზარდის როგორც ინტელექტუალური კოეფიციენტი (ფორმალური ცოდნა, ტექნიკური შესაძლებლობები და მათი გამოყენების უნარ-ჩვევები), ასევე ემოციური და სოციალური ინტელექტი, რაც მისი წარმატების უმთავრესი დეტერმინანტებია.

- 8) **თანამშრომლობითი სწავლება** - მასწავლებელი მენტორიდან მასწავლებელი მეგობრის/დამხმარის ადქმის დამკვიდრება, რაც გააჩენს ნდობას. დღეს, მასწავლებელს ვავალბებთ ააშენოს სახლი და არ ვეუბნებით რა მასალით, როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით აჯობებს სწრაფი და ხარისხიანი შედეგის მიღება. ამდენად, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში ჩართვის გამარტივება, კვალიფიციური და მოტივირებული კადრების შედინება სკოლებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან განსაკუთრებით მძიმე ვითარება/შედეგები დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებში.
- 9) **ყოველწლიურად 500 მასწავლებლის** საკვალიფიკაციო სტაჟირება უცხოეთში - საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებლებისთვის მოკლევადიანი საკვალიფიკაციო კურსი წარმატებული ევროპული საგანმანათლებლო პრაქტიკის გასაზიარებლად. ინიციატივა ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებული, მოტივაციით აღსავსე სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად დანერგვის მეთოდების ახლოდან გაცნობას.

საბაზო და საშუალო განათლება:

#ძლიერი, ინოვაციური საჯარო სკოლა - გულისხმობს შემდეგ ცვლილებებს:

- ✓ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად - ადაპტირებული და თანამედროვე სასწავლო პროგრამები/ სახელმძღვანელოები/ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სასწავლო რესურსები.
- ✓ სავალდებულოა, გადაიხედოს პედაგოგთა სერთიფიცირების წესი. პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის ეფექტურობის განსაზღვრა მასწავლებელთა ჩართულობით და გამოცდილების გაზიარებით.

- ✓ საატესტატო და საერთო ეროვნული გამოცდების მიზნობრიობის განსაზღვრა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი და მიღწეული შედეგების თანხვედრა.
- გრძელვადიანი სტრატეგია ამ მიმართულებით: 1) სქემაში ჩართული 63 622 (უკანასკნელი მონაცემით, 61 507) მასწავლებლის 53 % (TALIS 2018) ნახევარ განაკვეთზე მუშაობს, მაშინ როცა აღმ. ევროპის საშუალო მაჩვენებელი 12%. სავალდებულო უნდა გახდეს სერთიფიცირებული და სტატუსის მქონე მასწავლებლის სრული დატვირთვა (საკანონმდებლო დონეზე საგაკვეთილო საათებით უზრუნველყოფა) და მათი ანაზღაურების 1000 ლარით განსაზღვრა.
- დღეს სისტემაში გვყავს 62919 მასწავლებელი. სტატუსის მიხედვით განაწილება ამგვარია: პრაქტიკოსი - 12749, უფროსი - 41007, წამყვანი - 3235, მენტორი -295, მაძიებელი - 2493, სტატუსის გარეშე - 3140.
- დღემდე მოუგვარებელ საკითხად რჩება ე.წ. CAT- ის საატესტატო გამოცდების ნაცვლად მოსწავლეთა მიღწევების და შეფასების განმავითარებელი სისტემის დანერგვა და მისი საერთო ეროვნულ გამოცდებთან ინტეგრირება (10+2 მიდგომის ამოქმედება პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ზოგადი განათლების საფეხურზე).
- საჯარო სკოლა დღეს - გარდა ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისა, აიძულებს მშობელს ისარგებლოს კერძო რეპეტიტორის ან მომზადების ცენტრის სერვისით. ოჯახების შინამეურნეობების კვლევის ანალიზით დგინდება, რომ ოჯახებს, რომელთაც სასკოლო ასაკის შვილი ყავთ მათ განათლებაზე გაწეული ხარჯი საკვების შეძენის შემდეგ ნომერ მეორე ხარჯია.
- 2015 წლის საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ 16 წლის და უფროსი ასაკის მოსწავლეთა 71.9 %-ს მიაჩნია, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი არ არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.
- ამ მოსწავლეთა 85.7 % კერძო რეპეტიტორთან ემზადებოდა. ზოგად განათლებაში მშობლების მიერ გაწეული წლიური ხარჯი 300 მილიონ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების 85% შეადგენს (2011 წლის კვლევა, ბრეგვაძე და აფხაზავა).
- გამოსავალი: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობები: 1) სკოლის პედაგოგის ღირსეული ანაზღაურება და მოტივაცია 2) საბაზო საფეხურის პროფესიული ორიენტაციის, უნარების შემფასებელი ტესტით დასრულება 3) საშუალო განათლების საფეხურზე საატესტატო და საერთოეროვნული გამოცდების ინტეგრირებული მოდელის დანერგვა.
- სკოლების კლასიფიკაცია - დეცენტრალიზებული, კონკურენტუნარიანი საჯარო სკოლების რანგირება რეიტინგების მიხედვით. თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში - ინდივიდუალური პროგრამები, მასწავლებელთა დამატებითი სასწავლო რესურსებით აღჭურვა და ნდობის გამოცხადება სახელმძღვანელოების, დამხმარე რესურსების შერჩევა/შექმნის პროცესში.

- ვაუჩერის გათანაბრება საჯარო და კერძო სექტორში, ყოველწლიური 10%-იანი ზრდა - საჯაროდან კერძო სკოლაში გადასვლისას სასკოლო ვაუჩერი ზუსტად იმავე ოდენობით უნდა მიეცეს მოსწავლეს, რაც სახელმწიფოს მიერ მასზე იყო გამოყოფილი.
- შემოქმედებითი/არაფორმალური განათლებისა და ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფარგლებში.
- სკოლაში პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. მანდატური, როგორც ნდობის აგენტი საგანმანათლებლო სივრცეში. ბავშვთა ფსიქოლოგის ჩართულობა ძალადობის, ბულინგის, პირადი სივრცის ხელყოფის პრევენციისთვის. ამ მიზნით, კომუნიკაციის მუდმივი არხების არსებობა მშობელთა ჩართულობისთვის.

თუ გვსურს, რომ განათლება რეალურ პრიორიტეტად დავისახოთ - ბიუჯეტირება უნდა აჭარბებდეს მშპ 5%-ს

- #თანამედროვე სკოლა - წარმატების ფანჯარა 21-ე საუკუნეში. ინფორმაციული ცოდნის ნაცვლად მოდერნიზებული სასწავლო პროგრამები, ადაპტირებული სახელმძღვანელოები, საჯარო სკოლის თანამედროვე სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა, ინკლუზიური გარემო და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
- სასკოლო სივრცე უნდა გარდაიქმნეს პოზიტიურ და თავისუფალ გარემოდ, სადაც სასკოლო კლიმატი უზრუნველყოფს მოზარდის გადაწყვეტილების მიღებასა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას (დეპოლიტიზირება, დეცენტრალიზაცია, თანამშრომლობითი მმართველობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში).
- გამართლებული რეალობა - გამოცდებს ვხვდებით ცოდნით და არა ნიშნებით. რადგან ვიცი რა მინდა და რა მიზანს უნდა მივაღწიო. ვიცნობ ყველა პროფესიას (პრაქტიკაში პროფესიების გაცნობა, სამუშაო გარემოს შესწავლა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში, აკადემიური საქმიანობა, კერძო ბიზნესი, წარმოება, ლაბორატორია თუ სხვა).

- სახელმწიფო (საჯარო სკოლა) მამლევს საბაზისო ცოდნას და რაც მთავარია, უნარს მივიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად! საშუალო განათლების საფეხურის დასასრულს: ვარ საზოგადოების აქტიური წევრი, მოქალაქე - ვიცნობ საკუთარ უფლებებს, ვიცავ და პატივს ვცემ სხვისას.

საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი უფლება-მოვალეობანი:

- 1) პიროვნების ფორმირება (ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემოსა და პოზიტიური, თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა).
- 2) საჯარო სკოლების ავტონომიურობა - სსიპიდან აიპიმდე გზა გულისხმობს ფინანსური და ადმინისტრაციული თავისუფლების მინიჭებას, დეცენტრალიზებული გარემოს შექმნას მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შესაქმნელად.
- 3) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრები რუსთავსა და ქუთაისში - პროფესიული დახელოვნების ცენტრები შექმნის ახალ სივრცეს თანამდროვე განათლებისა და მეცნიერების მიღწევებისთვის, ინდივიდუალური მიდგომა (მოსწავლის უნარებზე და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამები/ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, ყოველწლიურად, მასწავლებლის გადამზადება ან სახელმწიფო გრანტით უზრუნველყოფა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გასაცნობად).
- 4) თანამშრომლობითი სამიტი 5000 მასწავლებლისთვის წელიწადში ორჯერ - საგაზაფხულო და საშემოდგომო თანამშრომლობითი შეხვედრა, კოლეგებისთვის საუკეთესო პრაქტიკისა და მიღწევების გაზიარების შესაძლებლობა არაფორმალურ გარემოში. კვლევებით დასტურდება ამგვარი შეხვედრების ეფექტიანობის მაღალი ხარისხი, რაც მთლიანად სასწავლო პროცესის გაჯანსაღებას უწყობს ხელს.
- 5) მოტივაციის ამაღლება/ განათლება არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის მისაღებად, არამედ თვითრეალიზებისა და წარმატების მისაღწევად მთელი ცხოვრების მანძილზე.

შედეგად:

- მოზარდი - საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ტრადიციული ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი და ტოლერანტი მოქალაქე.
- მასწავლებელი - დაფასებული და რეალიზებული პროფესიონალიზმის მაგალითი, სანდო მეგობარი და მხარდამჭერი.

- ცოდნის საზოგადოებას ქმნის - გადაწყვეტილების მიმღები, პასუხისმგებლობით აღსავსე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, თანასწორი თითოეული მოქალაქე (ანგარიშვალდებული საკუთარ თავთან და სოციუმთან- კლასი, სკოლა, უფროსები, საზოგადოება, სახელმწიფო).

პროფესიული განათლების პოლიტიკა:

- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია საშუალო სკოლის ბაზაზე. მოსწავლეთა ინფორმირება არსებული სპეციალობების, პროგრამის ხანგრძლივობის, მისი პრიორიტეტებისა და შემდგომში დასაქმების პერსპექტივის შესახებ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა განათლების საბაზო საფეხურზე. პროფესიული დახელოვნების ჰაბების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა რეგიონში.
- 10 000 გრანტი ყოველწლიურად მომავლის პროფესიების დაუფლებისთვის - კერძო სექტორთან თანამშრომლობით საქართველოს 10 რეგიონში ჩამოყალიბდება პროფესიული განვითარების და მომავლის პროფესიების დაუფლებისთვის შექმნილი მოკლევადიანი კურსები: IT, მარკეტინგი, დიზაინი, ციფრული ტექნოლოგიები, წარმოება, ტურიზმი და ა.შ. თითოეულ მოქალაქეს მე-10 კლასიდან გაუჩნდება შესაძლებლობა ისწავლოს, განვითარდეს და დასაქმდეს საკუთარი პროფესიით, მაღალანაზღაურებად პოზიციაზე ქვეყნიდან გაუსვლელად.
- დუალური პროგრამები პროფესიულ სწავლებაში. ინდუსტრიული და ჰაი-ტექ პარკებში ცოდნის მიღებისა და დასაქმების პერსპექტივის უზრუნველყოფა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის 16 წლის ასაკიდან.
- ბაზრის კვლევისა და მოთხოვნების, ასევე დამკვეთა ინტერესების შესაბამისად სასწავლო პროფესიული პროგრამების ამოქმედება და პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შექმნა/პოპულარიზაცია: IT ტექნოლოგიები, პროგრამირება, წარმოება, მარკეტინგი, უცხოური (მათ შორის ერთი აღმოსავლური) ენების ინტენსიური სწავლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და საერთაშორისო ოლიმპიადების დაფინანსება.
- პროფესიულ-საზოგადოებრივი კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვა, არსებული ბაზის განვითარება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

- საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ ითვალისწინებს შეღავათს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და ათავისუფლებს მათ სწავლის პროცესში ამ ვალდებულებისგან. ხოლო, პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტები ამ შეღავათით არ სარგებლობენ, რაც მას მეორეხარისხოვან დაწესებულებად აქცევს. მნიშვნელოვანია, მოხდების სტუდენტობის გათანაბრება და უწყვეტი სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, როგორც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების, ასევე პროფესიულ თუ საზოგადოებრივი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. შესაბამისად, მოხდეს საკანონმდებლო ცვლილება.
- პროფესიული და საზოგადოებრივი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა, რომლითაც სარგებლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტები (სწავლის პროცესში ჯარში სავალდებულო სამსახურზე შეღავათი, სტიპენდია).
- გაცვლითი პროგრამებში ჩართვის უდიდესი პერსპექტივა ERASMUS+ ახალი გრანტის პირობებში.

უმაღლესი განათლება:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია - **TOP 100 უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შექმნილ პროგრამებზე** ჩარიცხულ თითოეულ სტუდენტზე აკრედიტირებულ უსდ-ს ეძლევა სახელმწიფო გრანტზე (2250 ლარი) +30%-იანი დანამატი.
- ცვლილებები მიღების წესში - საერთო ეროვნული გამოცდების ბაზაზე მოწმდება აბიტურიენტის უნარები, ხოლო შიდა გამოცდებით უმაღლესი სასწავლებელი მისაღებად ირჩევს მისთვის სასურველი რეიტინგისა და შედეგების მქონე სტუდენტებს.
- უმაღლესი სასწავლებლების აღჭურვა/უზრუნველყოფა ლაბორატორიებით, თანამედროვე და მაღალი ხარისხის თარგმნილი სახელმძღვანელოებით. ასევე, საერთაშორისო კვლევითი ცენტრებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების სტანდარტების ბაზის შექმნა. ამ ბაზაზე სტუდენტებისთვის, მკვლევებისთვისა და აკადემიური წრეებისთვის წვდომის გამარტივება.

- სამეცნიერო გრანტების აქტივიზაცია, პრიორიტეტული სფეროების გადახედვა და დაფინანსების გაზრდა გამჭვირვალობის და კონკურენტუნარიანობის პრინციპის დაცვით.
- მეცნიერების პრიორიტეტული დარგების სისტემატიზაცია - უნივერსიტეტი + კვლევა+პრაქტიკა. ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების წახალისება, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული და სტრატეგიულ სფეროებში საუნივერსიტეტო კვლევების ცენტრების პლიუს პრაქტიკა. საქართველოს კულტურისა და ისტორიის კვლევითი ცენტრის დაარსება.
- სახელმწიფო გრანტით უკვე დაფინანსებული კვლევების შეფასებისა და შედეგების ანალიზი, ინფორმაციის გაცვლა იმ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელსაც ერთი მხრივ წარმოადგენს აპლიკანტი, მეორე მხრივ კი კვლევითი დაწესებულება, სადაც ახორციელებდა კვლევას. აღნიშნული ინფორმაცია საფუძველი უნდა გახდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ქართველი მეცნიერებისთვის შექმნის კონკურენტუნარიანი ცოდნის მიღებისა და მომავალში თვითრეალიზების შესაძლებლობას საერთაშორისო ასპარეზზე.

მეცნიერება და ტექნოლოგიები

- საქართველო რეგიონული ჰაბი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების აქტივაციისთვის. დღეს არსებულ IT სპეციალისტთა დეფიციტს (სფეროს საბაზრო ბრუნვა 2018 წლის 5 ტრილიონ დოლარს აჭარბებს) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ავსებენ. პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსი და რუმინეთი წლიურ 13 მლრდ. დოლარიან სარგებელს იღებენ IT და დეველოპერული სფეროების განვითარების ხარჯზე.
- საუნივერსიტეტო კვლევით ცენტრებში მოწვეული და ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შეიმუშავენ სასწავლო პროგრამებს შემდეგი მიმართულებით - IT, ციფრული ტექნოლოგიები, მარკეტინგი, წარმოება, ტურიზმი, ქართველოლოგია და ისტორიის კვლევები, აღმოსავლური ენების სწავლების პროგრამები.

- მომავლის პროფესიებში დახელოვნების ცენტრები საქართველოს ყველა რეგიონში - გეოგრაფიულად უზრუნველყოფილი დუალური პროფესიული პროგრამები. აგრო და ინდუსტრიულ კლასტერებში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა სკოლის ბაზიდან. პროგრამა უზრუნველყოფს მაღალანაზღაურებადი სამუშაოსთვის კადრების მომზადებას და დამატებითი დასაქმების ადგილების შექმნას 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ.